პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2017 წელი

ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გამომცემლის ექვთიმე ხელაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს გამომცემლის ექვთიმე ხელაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X:480,748.894
Y:4,627,505.564
X:480,694.149
Y:4,627,345.860
ექვთიმე ხელაძის ქ.
X:480,645.034
Y:4,627,177.486

02/898

ქ. თბილისის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავჯდომარეს ქალბატონ ლია ჯახველაძეს

მცხ: მცხეთა 18 ბ. 31

ტ: 599-55-00-74

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ მცირე ჯგუფს იმ საწარმო-ფირმებისა რომლებიც არიან განლაგებული უმისამართო ტერიტორიაზე (ე.წ. აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია), რომელიც მდებარეობს დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ. კერძოდ, მიხა ხელაშვილის ქუჩის პარალერულად და ასი ათასი მოწამეთა ქუჩის პერპენდიკულარულად.

ჩვენი კომერციული საქმინობიდან გამომდინარე ვიღებთ ბევრ კორესპონდეციას საზღვარგარეთიდან და ასევე სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის დროს იკარგება ჩვენთვის განკუთვნილი კორესპოდენცია.

უმორჩილესად გთხოვთ მიანიჭოთ ქუჩას სადაც ჩვენი საწარმოებია განლაგებული დასახელება და დამისამართება.

შპს "ირიდესი" მალხაზ სურმავა

შპს "სოფია ტრენინგ კომპანი" ლაშა შონია

შპს "CPS Georgia" გიორგი რევაზიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
№ 1617
"06" თებერვალი 2017
ფურცელი რაოდენობა 7 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

02/934

საქართველოს
წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა
ასოციაცია

საქართველო, თბილისი,
0171 , კოსტავას 68
იმეილი: info@gpba.ge; dir@gpba.ge
ტელ: (+995) 592 51 83 83

ქალაქ თბილისის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს,

ქალბატონ ლია ჯახველაძეს

ქალბატონო ლია,

მოგახსენებთ, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისში მოღვაწეობდა ექვთიმე ხელაძე, გამომცემელი და მესტამბე. ერთ-ერთი პირველი ქართველი მეწარმე გამორჩეულად განათლებული და მოაზროვნე გახლდათ. საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ მის სტამბაში გამოიცემოდა იმ დროის საქართველოს საუკეთესო პერიოდიკა, ჟურნალები: "ივერია", "მწყემსი" "კვალი", "წყარო", "ჯეჯილი", "ცისკარი"... ისტამბებოდა ჟურნალ "ივერიას" (რედაქტორი ილია ჭავჭავაძე) საწიგნე გამოცემები.

ხელაძის სტამბის ტიტული ამშვენებს ანტონ I კათალიკოსის "მზამეტყველებასა" და "ქართულ გრამატიკას", დავით გურამიშვილის "დავითიანს", ბარბარე ჯორჯაძის "სრულს სამზარეულოს", ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის, ანთიმოზ ჯუღელის და სხვა დიდი ქართველების წიგნებს.

ექვთიმე ხელაძე, "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი და საზოგადოების გამოცემათა შემოქმედიც იყო. ხელაძის სტამბაში რედაქტორობდა პეტრე უმიკაშვილი. ასოთამწყობებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ვლასა მგელაძე და ლადო კეცხოველი.

იგი თავის დროის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი იყო და მის მიერ განხორციელებული საქმეების უკვდავსაყოფად, შემოვდივართ თხოვნით, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას ექვთიმე ხელაძის სახელი.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის

აღმასრულებელი დირექტორი

თინათინ ბერიაშვილი

27. 02 . 2017

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
№ 07/2586
"27" თებერვალი 2017 წ.
ფურცელთა რაოდენობა 7 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

ექვთიმე ხელაძე

(1885-19 ??)

გამომცემელი, მესტამბე

მე-19 საუკუნის ბოლოს ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგთბილისში მოღვაწეობდა გამომცემელი და მესტამბე . ერთ-ერთი პირველი ქართველი მეწარმე გამორჩეულად განათლებული და მოაზროვნე გახლდათ. საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ მის სტამბაში გამოიცემოდა იმ დროს საქართველოს საუკეთესო პერიოდიკა, ჟურნალები: „ივერია“, „კვალი“, „წყარო“, „ჯეჯილი“, „ცისკარი“.

ექვთიმე ხელაძის სტამბის ტიტული ამშვენებს ანტონ I კათალიკოსის „მზამეტყველებას“ და „ქართულ გრამატიკას“, დავით გურამიშვილის „დავითიანს“, ბარბარე ჯორჯაძის “სრულ სამზარეულოს“ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის და სხვა დიდი ქართველების წიგნებს.

იგი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი“ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და საზოგადოების გამოცემათა შემოქმედი. ხელაძის სტამბაში რედაქტორობდა პეტრე უმიკაშვილი. ასოთამწყობებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ვლასა მგელაძე და ლადო კეცხოველი.